კვირა, 26 მარტი 1917 წ.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ოლლას ქუჩა, № 6.

ფასი 15 კაპ.

ეშმაკი

№ 13

მარტი 1917

შინაარსი. ეშმაკის მოწოდება—**ეშმაკი.** წითელი მხიარულება—**პოლბიპენტა.** მიკიტნის ჩივილი—**გოგია.** დეპეშები. ფურნის წინ—**ვ. რუხაძე.** ვარლამური. მოხსენება—**როკოკო.** სამგლოვიარო წერილი—**გურული ბიჭი.** როგორ მოხდა.

კარიკატურები ბედნიერი ოჯახი. დათვის ჭკუა. ერთი მათგანი. დაკრძალვა ბიუროკრატ მოავრობაძისა.

ბედნიერი ოჯახი

„მე მიყვარს ბაღი ტ ყვავილები“.
(ნიკოლოზ II)

ნიკო შეუდგა ბაღის შენებას...
პატარა ლექსო.—ცხენის ჭენებას...

ალისა შესტრფის ნახატს, (მშვენებას),
ყველა გრძნობს სიტკბოს და მოსვენებას.

ეშმაკის მოწოდება

ეშმაკო ამხანაგებო! მოხდა ის, რაც მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო, რაც არ შეიძლებოდა არ მომხდარიყო და რის მოხდომას ყველა ჩვენგანი მოელოდა.

ტრაღიკულათ დაემხო რუსეთის ძველი მთავრობა და მისი ალაგი დაიჭირა ახალმა.

აი რა მოხდა ეშმაკო ამხანაგებო!

ჩვენი ცხოვრების პირობები ძირ-ბუდიანათ შეიცვალა და გადასხვაფერდა. ის არა ჰგავს გუშინდელს, არც გუშინწინდელს და მით უმეტეს გუშინის წინის წინდელს.

ამხანაგებო! ჩვენ აღარა გვყავს მეეზოვეთა შტატები, იმ მეეზოვეთა, რომლებსაც მდაბიო ენაზე „დვორნიკებს“ ვეძახოდით და რომელნიც ჩვენს ეზოებს უმეტეს ნაწილათ არა საიმედო ელემენტთაგან ასუფთავებდენ. მეეზოვეთა ინსტიტუტი მოისპო, როგორც ასეთი და ამგვარათ ჩვენ მოვიპოვეთ (?) თავისუფლება ეზოსი. ყველა თქვენგანს შეუძლია გულდამშვიდებით ამოისუნთქოს ეზოს ჰაერით, თუნდაც ის მტვრითა და მხრჩოლავი გაზებით გაჟღენთილ იყოს, ვინაიდან თქვენს მოქმედებას თვალს არ ადევნებს მეეზოვე, ვინაიდან თქვენ თავისუფალი ხართ თქვენს მოქმედებაში.

მე წავალ უფრო შორს! ეშმაკთა ერო! რევოლიუციის ქარიშხალმა მოსპო არა თუ „დვორნიკები“, მან შემუსრა თვით „ქუჩის დარაჯნი“, ანუ „გოროდოვეები“. თითოეულ თქვენგანს თავისუფლათ შეუძლია იაროს თვით სისხამ დილიდან, ვიდრე მთვარის ამოსვლამდე ქუჩაში; შეუძლია იაროს ქვაფენილზე და ტრამვაის რელსებზე; შეუძლია გაჩერდეს სავაჭროების წინ და შეიხედოს შიგ; შეუძლია გააჩეროს ქუჩაშივე თავისუფლათ მოხეტიალე ამხანაგი და ემუსაიფოს მას რა ენაზედაც და რა საგანზედაც უნდა. ამგვარათ თქვენ თავისუფალი მოქალაქენი ხართ ქუჩისა და უფლება გაქვთ მთელი თქვენი სიფხიზლის დრო (თუმცა არც ძილია აკრძალული) ქუჩის ასპარეზებს შეალიოთ.

ერო! რევოლიუციის ქარტეხილი არც აქ შეჩერებულა. ის გასაოცარის სისწრაფით ღრმავდება, გადადის ქუჩიდან ქუჩაზე, უბნიდან უბანში და ანადგურებს ყველაფერს, რაც კი გზად ეღობება მის ძლევამოსილ მსვლელობას. ერო! განა შეგეძლო შენ წარმოგედგინა, რომ არ გეყოლებოდა უბნის ზედამხედველები, ანუ როგორც თქვენ მათ უწოდებდით „ოკოლოდოჩნიკები“? რასაკვირველია არა, მაგრამ ეს ეგრეა, ჩვენ აღარ გვყავს უბნის ზედამხედველნი. ერო! ეს გასაკვირი არ იქნებოდა მაშინ, ჩვენ თუ რუსეთიდან გავიზიზნულიყავით, მაგრამ ხუ დაივიწყებთ, რომ ჩვენ კვალად რუსეთში ვცხოვრობთ და უბნის ზედამხედველები კი არა გვყავს!

ხალხნო და ჯამაათნო! მმუსრავი ხელი რევოლიუციისა უფრო ღრმათ შეიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. მან გადალახა უბნის საზღვრები და თვით საბოქოულოსაც თავზარი დასცა. ბოქოული დაეცა! ხალხნო! გესმით თქვენ მთელი საშინელება ამ ტრაღედიისა? ჩვენ აღარა გვყავს ბოქოულები, ჩვენ დავრჩით უბოქოულოდ, ჩვენ დავობლდით! მთელი ნაწილი ქალაქისა თავისი ეზოებით, ქუჩებით და უბნებით ჩვენთვის თავისუფალი ასპარეზი შეიქნა და არხეინათ შეგვიძლია სეირნობა ყოველ დროსა და ყოველის მიმართულებით.

ამხანაგო ეშმაკებო! თქვენ თავისუფლათ შეგეძლოთ ამოსუნთქვა, თუ ძლევამოსილი მოძრაობა რევოლიუციისა ამ პოზიციაზე შეჩერებულიყო. მაგრამ არა! ის განაგრძობს სვლას და აჰა ეკვეთა კიდევაც ტახტს გუბერნიის მბრძანებელისას და დაემხო იგი. გუბერნატორი მოგვესპო! გუბერნატორი აღარ გვყავს, გუბერნატორი დავკარგეთ! ეს ჭორი არ გეგონოთ, ჭორი ჩემგან შეთხზული და თქვენს აღსაშფოთებლათ გამოცხადებული. არა ამხანაგებო, არა! ეგ სრული სინამდვილეა და ვაი მას, ვინც სინამდვილეს თვალებში არ შეხედავს, ვინც მის საშიშროებას მთელის სიგრძე-სიგანით არ გაზომავს და ასწონ-დასწონის.

ერო! ხუმრობა სათქმელია: გუბერნატორი არა გვყავსო? ეს რომ ერთი თვის წინათ გვეთქვა! ღმერთო ჩემო, რა მწუხარებას გამოიწვევდა და რა სიხარულის ქარიშხალს გამოიწვევდა ის. შავი დროშებითა და თალხი პროცესიით დაკრძალავდენ მის პატივცემულ გვამს. დღეს კი ხალხი წითელის დროშით და წითელი სიცილით ეგებება სამწუხარო ამბავს მისი გარდამხობისას. ერო! როდის უნდა მი-

ვადგეთ საზღვარს მწუხარებისას? არასოდეს, არასოდეს, არასოდეს!

სიღრმე რევოლიუციონური ქარტეხილისა განუზომელია. ყვითელ პანტასავით სცვივიან ყვითელნი მინისტრნი და მათ ალაგას ნაცვლად სიყვითლისა აღიმართა დროშა სიწითლისა და დაემხენ მინისტრები და შთანთქა ისინი გაუმაძღარმა **სტომაქმა საპყრობილეთა.** ჩვენ დავკარგეთ ძველი მინისტრები, ჩვენ ჩავყარეთ ისინი საპყრობილეში, ჩვენ დავსვით ისინი ბრალდებულის სკამზე.

ერო ეშმაკეთისაო! განსაცვიფრებელის სისასტიკით ეკვეთა ტალღა რევოლიუციისა ტახტსა მეფისასა და დასცა იგი.

ამხანაგებო! ჩვენ დავკარგეთ მეეზოვენი, ჩვენ წაგვართვეს გოროდოვოები, ხელიდან გამოგვგლიჯეს სტრაჟნიკები, უბნის ზედამხედველნი, გაგვინადგურეს ბოქოულები, მოგვისპეს გუბერნატორები, წარგვიტყვეეს მინისტრები და დაგვიმხეს ტახტი მეფისა.

ეშმაკებო! რაღა არის ჩვენი ცხოვრება ასეთ პირობებში? რამ უნდა გაახაროს და დააღონოს ჩვენი გული? რამ უნდა ასაზრდოოს ჩვენი გონება, რამ უნდა გაალვიძოს ჩვენი მხატვრული ნიჭი და რამ უნდა მოგვივლინოს მუზა პოეზიისა?

მეგობრებო! კარგათ დაუფიქრდით ამ მოვლენას, ასწონ-დასწონეთ მისი სიმძიმე! გახსოვდეთ, რომ ჩვენი საყვარელი ჟურნალის **„ეშმაკის მათრახის“** არსებობა მათზე იყო ძირითადათ დამოკიდებული, ის იყო საგანი ჩვენის ტანჯვისა და სიხარულისა.

მოქალაქენო! გაიხსენეთ ის დრო, როცა ჩვენი ქვეყანა ერთ ჯაჭვს წარმოადგენდა უწოსეობათა და ძალადობისას, გაიხსენეთ ის დრო როცა, ბ ნ ჭრიჭინას თქმისა არ იყოს:

— ყოველი ფეხის გადგმაზე
ისმოდა ჩვენი ვარადა,
მზათ გვქონდა „სცენა“, „იგავი“,
„ვოდევილი“ და „შარადა“.

ეს დრო წავიდა, ხალხნო და ჯამაათნო, წავიდა ისეთ ალაგას, საიდანაც არავინ დაბრუნებულა. წავიდა და ჩვენ დავრჩით ობლათ, უნუგეშოთ, უმასალოდ.

ეშმაკებო! გთხოვთ, მეტი სიფხიზლე, მეტი დაკვირვება და ასწილ მეტი წინდახედულობა გამოიჩინოთ. ჩვენი არსებობა საფრთხეშია. თუ რევოლიოციონური ქარიშხალის ქროლა ისე გაგრძელდა, ვინ იცის სად მიგვიყვანს.

ერო! დღეს მოთხოვნათა წამოყენების ხანაა, გაუშვებ დროს, გაგიფრინდება! გაგიფრინდება, ვეღარ დაიბრუნებ! ეს კარგათ უნდა ახსოვდეს თითოეულ ეშმაკს ყოველ დროსა და ყოველ ალაგას.

ჩვენ მოვითხოვთ:

„ეშმაკის მათრახის“ შინაარსის ასაღორძინებლათ და მხოლოდ ამისთვის საჭიროა აღდგენილ იქნას განსვენებული ძველი მთავრობა, ან ახალმა მთავრობამ დროიანათ შეითვისოს მისი ტრადიციები! აი ჩვენი მიზანი ამხანაგებო და მოქალაქენო!

მიზნის მისაღწევათ ჩვენვე გამოვიმუშავეთ შესაფერი უტყუარი ტაქტიკა.

აი ისიც:

ყოველი კეთილმოაზრე ეშმაკი ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს მექრთამეობის გავრცელებას.

ბ) დაეხმაროს გაპარვასა და დამალვაში ჩვენ ძველ ნაცნობ-შპიონებს (ძველ დოკუმენტთა განადგურებაზე ლაპარაკიც მეტია).

გ) მოახდინოს პროვოკაცია კრებებსა და მიტინგებზე, როგორც ეგ ძველათ ყოფილა.

დ) აუხსნას ფულის მნიშვნელობა ახალი მთავრობის მოხელეთ და „გამოსარჩენის“ როლი ამ დარგის ასაყვავებლათ.

ერთის სიტყვით ყოველი მართლმორწმუნე ეშმაკი უნდა ცდილობდეს თავის რაიონში*) სამასალე ტიპთა გამრავლებას და ამ მიზნის მისაღწევათ, გარეშე ჩემ მიერ აღნიშნულ საშუალებათა, მიმართოს ყოველგვარ ხერხსა და ორინბაზობას.

დედანზე საკუთარის ხელით აწერია:

ეშმაკი.

---

*) ჩემის აზრით, ამხანაგო ეშმაკებო, მთელი რიგი აქ ჩამოთვლილ მოთხოვნილებათა ჩვენთვის მისაღები და აუცილებელია. მხოლოდ სადმე შემდეგშია: ზეშინაღნიშნულ სიტყვა „რაიონში“, ვგონებ, ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ „ტერიტორია“. ამგვარათ, ჩვენი ერთ-ერთი მოთხოვნილება იქნება: ტერიტორიალური ავტონომია ჯოჯოხეთში.

ახოთ-ამწყობი **კრაზანა**

წითელი მხიარულება

(ყანწური სტილით).

მოვიდა გიჟი, შეთიანი
წითელი ფრანტი,
და მთავრობაძეს სასიკვდილო
გამოჭკრა კვანტი.

პენტა.

დღეს გადავხუხე სიხარულის
ყანწი წითელი,
სევდა დავკალი, წავაგლიჯე
თავი ყვითელი.
სულს ჩამოვხადე, დაფხრეწილი
პირ-შავი ფარდა,—
ცეცხლის სიცილი ტანში მივლის...
თავშიც ავარდა...
განაყინ გულში გაიშალა
წითელი ვარდი.
ველარ ვეტევი ჩემს ოთახში,
კარში გავვარდი.
მივქრი ქუჩაში... აღარ მომდევს
თმა-ქერა „შპიკი"
იგი შემძვრალა ბნელს სოროში,
ვითარცა ხვლიკი...
წითლად ვხარხარებ, წითლად ვმღერი,
წითლად გავჰკივი,
აღარ მაშინებს „დესეტნიკის"
მუშტი და კრივი...
გაიგეთ ხალხნო! აქ მოსულა
წითელი ფრანტი
მთავრობაძისთვის, სასიკვდილო
გაუკრავს კვანტი!..
წითლად ნამოსი ღელავს ქუჩა
ღიმ ჩამოწნილი,
მოცეკვავს გოგო წითელ „ბანტით"
ტუჩ ჩაკოცნილი.
სახლების თავზე დაფრიალობს
წითელი დროშა,
„შავი ადგება!" აბა ვინ სთქვა,
ვინ წამოროშა?..
თავი ანებე! დამხჩვალ ძაღლებს
ნუღარ ეხები!
ქუჩის შეუაგულში დავლურს უვლის
ჩემი ფეხები.
ჰე, დაჰკათ ტაში, შეარყიეთ
მთელი ზესკნელი!
და შავს სულებსა ბინად მივცეთ
კუპრით ქვესკნელი!..
დავჰკრათ საყვირი და მით ვამცნოთ
ყრუ მზეს და მთვარეს,
ბრმა ვარსკლავებსა და შუქურას
სხივ მოელვარეს,
რომ აქ მოვიდა გიჟი შლეგი
წითელი ფრანტი,
და მთავრობაძეს სასიკვდილო
გამოჰკრა კვანტი!

პოდბიპენტა.



მიკიტნის ჩივილი

აფსუს! იშტა ვისა აქვს და ფლავი ვის უდგა! მე კაცი კუდამდინ გავიფცქვენი, პასლედნი მწვანილის ფული მენატრება და ყველა ქეციანი და დოყლაპია ფულის პატრონი გახდა. არა, ხალხნო, რა დავაშავეთ, რომ ყველა ჩვენა გვდევნის, ყველა ჩვენა გვწვდება ყანყრატოში! ძველი მთავრობა იყო და სული ამოგვხადა რაღა! ჩაგვიკეტა დუქნები და პირღია დაგვყარა. ნელზა ვინო პრადავატ, საჯდათ ბუდიტ პიანიო. ვა, ამ ხალხის ამბავი მიკვირს და გამკვირვებია! ბიჭო, პიანი და ნასომი რომ არის კაცი მაშინ უფრო გულადი და ვაჟკაცი არ არის! კაცს საჩხუბრათა ჰგზანი და ნეუჟელი პადკრეპლენია რამე არ უნდა, რომ უფრო გაბედულათ მივიდეს! ეჰ, დავიღუპე და დავითარსე კაცი რაღა! ვფიქრობდი ვაინაა და იქნება ორიოდე მანეთი ვიშოვო მეთქი, მაგრამ ბანჩუნეს! თუ რამე მქონდა, ისიც ზედ წავაჭყლიტე. ვა, ეს ახალი

მთავრობა რომ დაწესდა როგორ გამიხარდა! მამენ-ტალნათ გავცოცხლდი რაღა! ბევრი ყვირილით და ურას ძახილით ყელის ძარღვები ჩავიწყვიტე. ერთი ქუდი მქონდა და იმდენი ვიხადე და ვაფრიალე ჰაერში, რომ ბევრი მოხდით და ზევით შაგდებით კიკიროზი შიგ ძირში მივაწყვიტე. ეხლა რომ მნახოთ მატროსი გეგონებით. ისე, უკიკიროზოთ, მარტო მორგვალებული ღა მადევს თავზე. ვიფიქრე ახალ თაობამ ქვეყნის საქმე გააკეთა და რაზუმეიცა რომ მეც მომეშველება მეთქი.

მაგრამ აქაც მოვტყუილდი,
საქმე არც მათ გამიკეთეს,
ნააბაროტ დუქნის კარი
უფრო მაგრა დამიკეტეს.

—

პრიკაზჩიკი საკანტროლოთ
ჩემ დუქნის წინ ადის-ჩადის,
მერე, კაცო, ამ პირძაღლთან
ვზიატკაც რომ აღარ გადის!

—

ძველ მთავრობის ხელში მაინც
გარადოვებს ვაყლაპებდი
და ჩუმჩუმათ დუქნის კარებს
როცა მსურდა გავაღებდი.

—

ჩვენ თუ სმა და ჭამა გვინდა
არ ეძებენ ამ ჩვენ კუჭებს,
ამოტოლა ვირის თავი
ვგდივარ მუქთად, ვყლაპამ ბუზებს.

—

სად წავიდე, ვის შავჩივლო,
ღმერთი ცაში დაფრიალობს,
ძირს ხმელეთზე გოსუდარი
ყირამალა კოტრიალობს.

—

ეჰ, ქვეყანამ ჩვენთვის მაიცალა რაღა! ყველა ჩვენ გვიდგა კრიჭაში. არა, მე ისა მკლავს, რომ ყველა უდღეო ფულის პატრონი გახდა და ჩემი შნო და მარიფათი კი ასე უშნოთ იმარხება! ერთი შახედეთ, ქრისტიანო, ამ ბაზაზებს და შკაფჩიკებს რა დღე გაუთენდათ! სადაც ძველ-ძველი წითელი ყუმაში, ჩითი, ან ლენტები ჰქონდათ, მამენტალნათ გაასაღეს. ილბალი უნდა რაღა ყველაფერს! არა, ეს ხალხი რაღამ გააგიჟა, კაცო! სადაც უნდა და არ უნდა, ვისაც ეკუთნის და არ ეკუთნის ყველას წითელი ჰკიდია გულზე!

იცოცხლე ამ ბაზაზებსა
დღე დაუდგათ სანატრელი,
გაასაღეს თუ რამ ჰქონდათ,
ყუმაშები ძველის-ძველი.

—

დედაკაცი გაშიგიჟეს,
გამიჯავრდა არ მცემს ხმასა,
ტოჟე პროსიტ კრასნი მოდა
ისიც აჰყვა ფეხის ხმასა!

—

მეებნება: კარაპეტჯან,
კრასნი ცვეტი შამიკერე,
სირცხვილია დედაკაცი
შავებში ნუ დამაბერე.

—

ბევრი ვეხვეწ-ვემუდარე,
მაგრამ როდი დამიჯერა,
ამ ბებერმა, საკალბასემ,
კრასნი მაინც შაიკერა!

—

ვით კურტანი დიდ ყურებას
ყველამ იცის არ უხდება,
მაგრამ მაინც სხვის შამყურე
ისიც ფეხის ხმასა ჰყვება.

—

ბარიშნა და კავალერი,
სალდათი და აფიცერი,
ყველა წითლათ ალაპლაპდა
ჩინონიკი, ღვდელი, ბერი.

—

მეწვანილე, მეკუბოვე,
მეთევზე და თოქმაჩები,
ყველა წითელ ლენტს იკერებს,
გაამდიდრეს შკაფჩიკები.

—

ვეზდე, კრუგომ, მთელ ქალაქში,
მოდაშია კრასნი ცვეტი,
ყველას წითელი აბია
ბრძენი იყოს, გინდა ცეტი!

—

ტუფლი გინდა წითელია,
ზონტიკი და ფელჩატკები,
ნასკი, ჩულქი, პადვიაზკა,
პერანგი და კოვტოჭკები!..

—

კაცო, თუ წითელშია საქმე გამაგებინონ რა-ღა! პირძაღლი ვიყო თუ თეთრი ღვინო კაპლი გავყიდო. განა წითელი ცოტა მაქვს! წითელი და მერე რა წითელი. ისეთია, როგორც ჭიაფერის ვინც იმას არ დალევს ან დღე მოკვდება, ან ღამე. რომელი ლენტი, რომელი ყუმაში შეედრება იმის ფერს, მაგრამ რომ არ მაყიდინებენ! ვა, ვა, ვა, ვა! გასაკვირველია უფლის მადლმა! ქალაქში თუ რამ წითელი საქონელი იყო მამენტალნათ გაიყიდა და ჩემი წითელი ღვინო კი ბოჭკებში ძმარდება! თუ ყველაფერი წითელი მოდაშია, მაშ ჩემმა ღვინომ რა დააშავა, ხალხნო, გამაგებინეთ! თუ ცვეტშია საქმე, იმისთანა წითელი ქალაქში არაფერი არ იქ. ნება, თუ არა და რა უნდათ ჩემგან, რას მერჩის ეს ხალხი!!!

მიკვირს, მიკვირ', უფლის მადლმა,
ვის შავჩივლო, პრამა ბედა,
აღარ ვიცი ამდენ ჯავრით,
ლამის მომივიდეს ბნედა!

—

მუშტარია და ვერ ვვაჭრობ
არ მომსწრია ეს ჩემ დღეში,
ფულს შახედო, გაგონილა,
არ ჩაიდო ის ჯიბეში?!.

—

რომ შავხედავ თუმნიანებს
ამიტყუტება თავის ფხანა
და ვით კატა მსუქან ძეხვებს,
უთვალთვალებ შორიდანა.

—

მართალია ჩორნი ხოდით
ვიპარავ, და ჩუმათ ვძვრები,
მაგრამ ფულით, თავისუფლათ,
რომ მსურს, ისე ვერა ვძღები.

—

უნდა ვნახოთ რასა ვგვვარ
ფანჯარაში გაჭედილი,
თავი შიგ მაქ, ფეხები კი,
გარეთ არის გადმოყრილი!

—

თავს ვიმალავ, ფართუკი კი
არხეინათ დაფრიალებს,
ჩემი კეკე გარეთ მიდგა,
ყარაულათ დამტრიალებს.

—

სიცოცხლეა განა ესა
შენ საქონელს იპარავდე,
წითელ ღვინოს, ქრისტეს ნაკურთხს,
აქა-იქა რომ მალავდე!

—

ვა, ვა, ვა, ვა, რა ძნელია
მართალი რომ აღარ გავა,
სხვისი კრასნი ცვეტი ცვეტობს,
ჩემ ღვინომ რა დააშავა?!.

გოგია.



დეკეშეგი

(ნაუმევის სააგენტო)

ოზურგეთი. დეკანოზი დავით დუმბაძე განწესებულ იქმნა ციხის მოძღვრათ. დეკანოზი უკმაყოფილოა მცირე შტატით, მაგრამ აღმასრულებელი კომიტეტი ჰპირდება გარდა ნიკოკი, დიმიტრისა, გრიგოლ I. გრიგოლ II. სევერიანე და კოსტანტინესა კიდევ სხვაც ჩარიცხოს მის შტატში. ეს მოხდება მის შემდეგ, როცა გასინჯულ იქნება პოლიციის საბუთები და შემოწმებულ იქნება „მართლ მორწმუნეთა“ სია. მაშინ დავითს თანამწირველსაც დაუნიშნავენ. ხსენებულ ადგილზე უეჭველ კანდიდატათ ასახელებენ. მღ. არ.....ბ—დან. (ვერ გავარჩიეთ).

ბათუმი. ქუჩას მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი იერიშით აიღოს აქაური ბასტილია და პეტრეპავ-

ლეს ციხე—**ქალაქი თვითმართველობა**. ხსენებული ციხის კომენდანტი ევ. კრინიცკი მედგრათ იცავს ციხის ყველა ჯიხურებს (ფორტებს). სხვა და სხვა ჯიხურებში ჩააყენა თავისი ერთგული „პოდ-კომენდანტები:“ ფეფელოვი, ყოფილი პროკურორი და სხვები. გუბერნიის ყოფილ მართველს ლიაჩინოვს (აჭარის გამანადგურებელია) აგზავნის აჭარაში იქაური ფორტების დამცველად. ჟანდარმთა უფროსი, გავრილოვი, ოლქის უფროსი იონინი და ძმანი მისნი არხეინათ დასეირნობენ. კრინიცკი მათთვის ამზადებს სამადლობელ ადრესს.

ბათუმის ქალთა წლე. კვიმატ რიცხვს, 13 მარტს შესდგა ქალთა წლეს კრება. შლიაპოსან, წრიპინოსანთა კრებას ხელმძღვანელობდა გადაცმული მანდილოსანი გიორგი პოლიექტოვნა კარბელაშვილი. ქალთა. წლემ გადასწყვიტა, რადგან არც ერთი ქალი ბათუმში არსებულ კულტურულ-პოლიტიკურ ორგანიზაციებში თავმჯდომარეთ და გამგეობის წევრებათ არ არის ამიტომ დაარსდეს პოლიტიკური პარტია ესფერ ქალებისა. ერთი ორატორი წლეს უმტკიცებს, რომ თავისუფალ რუსეთში დროა ქართველმა ქალებმაც დაგლიჯოს ბორკილები და ფართოთ გაშალონ ხელები. გადაცმული ორატორი ქალებს მოუწოდებს მედგრათ დაიცონ სამშობლო ესდეკთა იერიშისაგან... კრება ადრე დაიშალა, რადგან გამგეობის წევრები (ახლად არჩეულები) ლოტო-ფრაპის სათამაშოთ მიიჩქაროდნენ.

ფოთი. (ბუტუნას სააგენტო) მთავრობაძის გარდაცვალებით „ჯავრისაგან“ ქუჩაზე გამოფენილმა ლეგიონმა ხალხმა და ჯარისკაცებმა ააფრიალეს „სამგლოვიარო“ წითელი დიდი დროშები. გაგიჟებული ორატორები იერიქონის საყვირივით მოსთქვამდენ მთავრობაძის გარდაცვალებას და მის ადგილზე ახალის ჩამოსიძებას. ჰაერში ისმოდა ქალაქთა ხმები: გაუმარჯოს ახალს, ძირს ძველი! წინ ამხანაგებოო და სხვა. ქუიდან შეირყა 36 ორატორი. ყელის ჭლექი დაემართა 47 მქადაგებელს. ყურის ბარაბანი გაუსქდა 1536 მაყურებელს. ახალმა მთავრობამ მიიღო ზომები ორატორებისაგან თავის დასაცველად. გამოიწერეს ორი ვაგონი დინდგილა და ერთი ვაგონი ტათლიები. ეს ნივთიერება თურმე საუკეთესო საშვალებაა საღერღელ აშლილ ორატორთა კბილებისა და ბაგეთა შესაკრავად.

ფურნის ნინ

ოთხ საათზე მოვედით,
ახლა უკვე ათია,
და მას აქეთ აქ ვდგევართ,
ჩემო ძმაო დათია.
ხომ ხედავ ჩვენისთანა
აქ რამდენი ასია?—
სადაც ხალხი თავს ვერ ცნობს,
იქ ყოველთვის ასეა.
მაგრამ როს აივსება
მოთმენის საწყაული,
მაშინ სულ სხვა საქმეა:
მოხდება სასწაული.
სწორეთ ამ სასწაულმა
მოგვცა თავისუფლება
და ნიკოს სრა-სასახლეს
დღეს ხალხი ეუფლება!

ვ. რუხაძე.

დათვის ჭკუა



დათვი ჯერ მკვდარი არ არის!..
მას სული გაუნაბია!
უყურებს მტერთა ქიშპობას...
(ათასი ყური აბია!!!)
და ფიქრობს: — ეჰ,ა ნეტავი,
საჩხუბრათ ამრეზილები
დაერეოდენ ერთმანეთს
ეგ, კრამოლნიკის შვილები!..

—

მაგრამ თუ დათვსა, ტყიურსა,
აქვს ამნაირი მსჯელობა
სხვებს მეტი მოეთხოვება,
ჰკვა და შორს გამჭვრეტელობა.

ერთი მათგანი

ჯირითი

როგორც გვახსოვს ამ სურათს ერქვა **ჯირითი.** მასზე გამოხატულია ჩვენი ძვირფასი, აწ განსვენებული, ცენზორი. ბევრი სასიამოვნო მოგონებანი გვახსოვს ჩვენ მისგან და ამ მოგონებათა მკვიდრ აღსაბეჭდათ დავხატეთ ეს მშვენიერი სურათი. მართალია ამ სურათს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა არა ჰქონდა და მის ნებართვას არ მოჰყვებოდა ისეთი საშიშარი კატასტროფა ძველი წყობილებისა, რომლის მოწამე ჩვენ გავხდით, მაგრამ სურათი მაინც აკრძალული იქნა და ჩვენს მკითხველებს წაერთოთ საშვალება ამ სამაგალითო სპორტის სანახაობით დამტკბარიყო.

რევოლიუციონურმა ქარიშხალმა ჩამოაგდო ამ ბედაური ცხენიდან პატივცემული ცენზორი ჩვენი, მაგრამ სამწუხაროთ მას არაფერი არ უღირძვია და დღეს ისიც თავისუფალ მოქალაქეთ ითვლება.

„ეშმაკის მათრახის“ ძსნე

თანამშრომელნო!

დაბად და სოფლებად ტახტზედა მჯდომელნო!
მაკვირვებს მე თქვენი დუმილი ესოდენ,
კვირენი მიდიან, ეურთ არრა ესმოდენ.
დამუნჯდით, როდესაც
ხალხს ენა აესსნა?
დაკუტდით, როდესაც ბორკილი დაესსნა?

გაფრთხილებთ!

დრო გვიდგას მრჩობლ

პასუხსაგები

დრო არის აქღერდეს
მდუმარე ზანგები

ვარლამური*)

ეს რადაც კონსტიტუცია,
რუსს ჩვენთვის რო მოუცია,
ჯერ იყო ერთობ „კუცია“,
დაიწყო რევოლუცია,
უმატეს ასი უნცია,
ძველი მთავრობა ბრუცია,
სულყველა მონახუცია,
ზოგზოგი თლა ტუტუცია.
შეექნათ ფაცი-ფუცია,
ციხეში თავის ტკუცია,
მუშას პატივი უცია...
ჯარს ქურქი შეუქუცია...
და სხვა და სხვა და სხვა.



*) ვისაც ჭქონია ბედნიერება ჩვენ საყვარელ მგოსავ ვარლამ ბურჯანაძესთან მესაიფისა, ყველა მიაქცევდნ ყურადღებას, რომ დექსთა წყობა, მის მიერ შემუშავებული, უაღრესად ორიგინალური და მახვენილია. ი ამიტომაც უსამართლობა იქნებოდა ამგვარ ნაწარმოებთათვის ჩვენ არ დაგვერქმია „ვარლამური“.

ამიტომ „ეშმაკის მათრახის“ რედაქციის სრული იმედი აქვს, რომ შემდეგისათვის თვით ძვირფასი მამათმთავარი „ვარლამური“ დექსთა წყობისა ამს. ვარლამი არ დაგვიწყებს და მოგვაწოდებს თავისს ნაწარმოებს.

სამგლოვიარო დეპეშები

(ბუტუნას სააგენტო)

ფოთი. (ყოფილ პოლიციელებიდან) სასოწარკვეთილებაში მყოფი პოლიცმეისტერი, დამწუხრებული მისი თანაშემწე, მგლოვიარე პრისტავები და თვალცრემლიანი ოკოლოდჩნიკები გამოუთქველისა და ჩუმი მწუხარებით აუწყებენ სულიერ ნათესავთა და ხორციელ მეგობართ პირველი და მეორე ძწყალობელის, მესამენი ნაბატონარის და მეოთხენის თავადის: მართველა ხოჩანთქისძე მთავრობაძის უდროვოსა და მოულოდნელ გარდაცვალებას სოფელ ფსკოვში. განზრახულია გამოსვენება საკუთარი სახლიდან და დაკრძალვა სოფ. ინგილოში. დამარხვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

იქიდანვე. გონება დაკარგული ჯაშუშები, თავზარდაცემული ბნელეთის მოციქულები, გზაბნეული მეზოვეები და დამბლა დაცემული რეაქციონერები თვალცრემლიანი ატყობინებენ თავიანთ პარტიულ ამხანაგებს თავიანთ იმედის და დაუვიწყარი მთავრობაძის საკვირველ გარდაცვალებას.

მოსენიებ

მარქსმა, რომ ნახა
სწორი გზა ხსნისა,
სთქვა:—მდგომარეობა,
შეგნებას ქმნისა...

და მეც ბაასი თქვენთან მასზე მწადს,
რაც რომ ამბები მოხდა პეტროგრადს.
სადაც მცხოვრებნი, სტუქსავდენ კუჭებს,
და პატივს სცემდენ მტარვალთ მუხრუჭებს.
მასთან ითმენდენ ყოველ გასაჭირს,
რათა სიმძლავრე დაეთრგუნათ მტრის.
რაც რამ ებადათ. მტრის დასამხობად,
და თვის სამშობლოს კეთილ საყოფად.
იყო მოთმენა მეტად სულ გრძელი,
თუმც გაჭირვებით წყდებოდათ წელი.

აღარც იცვამდენ, აღარცა ჭამდენ,
ჯანს და სიცოცხლეს ომზე ხარჯავდენ.
მაგრამ... ოჰ, ღმერთო დახეთ რამოხთა?!.
როგორც აფთარი კუჭი გამოხტა,
გადასცა პატრონს ულტიმატუმი,
და შეურყია ცხოვრება ჩუმი...
დაუყონებლივ მოსთხოვა პური.
აქ მთავრობაძემ ასცქვიტა ყური,
და უთხრა — კუჭო შე უბედურო
შენ მოგცე, მტერსა რით ვემსახურო?!.
მაგრამ კუჭს კუჭთა მოჰყვა ხმაური,
შეიქნა დიდი აურ-ზაური.
და ჰა ქარხნებმა მშიერი მუშა
„პური"-ს საძებრად ქუჩად გაუშვა
როცა მიმართეს მათ მფარველ ჯალათს,
კარი გაეღო ეშმაკის ღალატს.
მან, ვინც ითხოვა იმათგან პური
ჯილდოთ მიიღო მხოლოდ პანღური.
არ მისცეს საზდო არც ერთი ლუკმა.
(აქ კი წავიდა საქმე უკუღმა.)
და როს სიმწვავით კუჭმა მუცელი,
ასწვა, ამართა სიკვდილის ცელი; —
მაშინ გაიცვნეს მოყვარე, მტერი,
პასუხიც გასცეს მათ შესაფერი,
მყის მონობისა დაამხვეს ჭერი
ზურგსა ადინეს ბოლი და მტვერი.
და მის ნანგრევზე „ერთობის" დროშა,
აღმართეს ქვეყნის დამხობის დროსა.
მაშ გაუმარჯოს ამ მშიერ კუჭებს,
და ვინც ბრძოლაში თვალი დახუჭეს,
მათ შეანგრიეს მონობის ზღუდე
იმათ დალეწეს მტარვალთა ბუდე.

როკოკო.

ლოზუნგები

მიწა გლეხებს.

გლეხი—ეი, ამხანაგო მეფურნეე! ეს პური კი არა, მარტო მიწაა.

მეფურნე—დიახაც რომ მიწაა. მე თანახმა ვარ მიეცეს გლეხებს მთელი მიწა.

ფ ო ნ დ ი

მღ. სარდიონ ჯინჭარაძემ „ეშმაკის მათრახის" რედაქციას გამოუგზავნა 2 მანეთი ფონდისათვის.

სამგლოვიარო წერილი

კვირას 12 მარტს „ეშმაკის მათრახის" რედაქციამ მეტად გულის გამწყალებელი ამბავი გვამცნო: გარდაიცვალა ბიუროკრატ დესპოტისძე მთავრობაძეო. ეს თავზარდამცემი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ გურიას და მწუხრის ზეწარში გახვია ის. სტირის და ქვითინებს მთელი გურია განურჩლად სქესისა, მიმართულებისა და წოდებისა. ყველას თვალწინ უდგას მთავრობაძის აჩრდილი და მისი დაუღალავი მოღვაწეობის ნიმუში.

მაგრამ ყველაზე დიდია გამოუთქმელი მწუხარება გურიის გლეხ-კაცობისა, ვინაიდან მხოლოდ მას ჰქონდა პირადი ბედნიერება ახლოს გასცნობოდა მთავრობაძეს. აი თუნდაც ფაქტი, თუ როგორ დაახლოებით იცნობდენ გურულები ბიუროკრატ დესპოტისძე მთავრობაძეს. ვინ იყვნენ ნეტარ-ხსენებულნი ალიხანოვ-ერმოლოვ-კრილოვ-ტოლმაჩოვები თუ არ ღირსეული მემკვიდრენი აწ განსვენებული ბიუროკრატ დეპოტისძე მთავრობაძისა? დიახ, ესენი გახლდენ რჩეული მემკვიდრენი მთავრობაძისა, რომელთაც ხალხის გულში სამარადისო ხელთ-უქმნელი ძეგლი აიგეს. ესმით რა გურულებს მთავრობაძის გარდაცვალების დიადი აქტი, მთელი რუსეთის ცხოვრებაში, დაუყონებლივ დაადგინეს: გადახდილ იქნას პანაშვიდი*) განსვენებულის სულის მოსახსენებლათ და წარმოითქვას მქუხარე სიტყვა, რომელშიაც აღნიშნულ იქნება მისი მოღვაწეობის ისტორია. პირველათ, 7 მარტს პანაშვიდი გადახდილ იქნა აუარებელ ხალხის თანდასწრებით ქ. ოზურგეთში, რომელზედაც გამოცხადდენ მრავალი მწირველები. მეორე პანაშვიდი მოხდა დ. ჩოხატაურში 10 მარტს. პანაშვიდს აუარებელი ხალხი მიაწყდა სხვა და სხვა სოფლებიდან; წინ მოუძღოდათ დროშა და მარსელიოზის კილოზე „სულთათანას" მომღერალთა გუნდი. ტრაპეზზე მრავალი მწირველები გამოჩდენ. პირველათ სწირა მოქალაქე ო. კიკვაძემ შემდეგ სტუდ. რამიშვილმა და სხვა მრავალმა მთავრებმა. შეკავშირებულმა გურულებმა დაუყოვნებლივ შემდეგი ლოზუნგები წამოაყენეს: 1) რათა კარგად ისწავლონ ნიშანში სროლა, ადგილობრივი პოლიციის მთელი შემადგენლობა გაიგზავნოს ფრონტზე (სახელდობრ გერმანიაში), და 2) გამოცხადდეს მობილიზაცია ნეტარ-ხსენებულ კრილოვ-ერმოლოვ-

ტოლმაჩოვ-ალიხანოვ ხულიგინისძეებისა და აღძრულ იქნას შუამდგომლობა მათი უფასო ექსკურსიის მოსაწყობად ირკუტსკში, ვინაიდან, როგორც ვიცით კაკი წერეთლისა, ჩხიკვიშვილისა და სხვათა მრავალთა ვაკანსია თავისუფალი რჩება.

გურიის გლეხ-კაცობის (აწ მოქალაქის) მონდობილობით:

„გურული ბიჭი“.

როგორ მოხდა ეს

(დასასრული)

დიდ დაფაზე, სადაც წინათ დუმის კომისიების სხდომას აცხადებდენ, ფურცელი ქაღალდი იყო გაკრული ზედ წარწერით: „ჭრილობების შეხვევა“. იქვე, მაგიდასთან ეყარა ბამბა, წამლები და შესახვევი მასალები. მოწყალების და გულმოდგინეთ მუშაობდა.

იქვე ეყარა რძის ცარიელი ბოთლები.

ერთ კუთხეში ჯარის კაცებს დაუგროვებიათ გიმნასტიორკები, შარვლები და ჩექმები. იქვე ეწყო რამოდენიმე მწვანეთ შეღებილი ტყვიისმფრქვეველი, რომელსაც გძელწვერა ჯარის კაცი ადგა მცველათ. ჯარის კაცს მთელი ღამის უძილობით თვალები ეხუჭებოდა, ერთ ხელში შავი პურის ნაჭერი ეჭირა და ნელა ილუკმებოდა.

ჯარისკაცების სიმრავლე ისეთ ელფერს ახდენდა თითქოს დუმის შენობა ყაზარმათ გადაექციათ, სადაც რაღაც მნიშვნელოვანი სასწრაფო საქმე კეთდებოდა.

ეკატერინეს დარბაზიდან ვაღაცას ჩახლეჩილი, აღელვებული ხმა მოისმოდა. იქ, ჯარის კაცებით გაჭედილ დარბაზში, ლაპარაკობდა კერენსკი. ხელების ქნევით და ფეხების მოძიაობით თითქოს ძალას ახმარდა ჩაწყვეტილ ხმას.

სახე მისი გაოფლიანებული, ფერმკრთალი და დაღლილი იყო.

ფეხების ხმაურობასა და ხალხის გუგუნში ძნელი გასარჩევი იყო, რას ლაპარაკობდა ის. ჩემამდი მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები აღწევდა.

— დაჰკრა საათმა... მტკიცეთ შეეერთდეთ... კიდევ ერთი იერიში... გმადლობთ.—გაჭედილი ხალხის გუგუნისაგან დარბაზს ზანზარი გაქონდა და დეპუტატის სიტყვებიც სადღაც იკარგებოდა ამ მოზღვავებულ ხალხში.

ჯარის კაცები დინჯათ და საქმიანი გამომეტყველებით იცქირებოდენ აქეთ იქით.

შენობის მეორე კუთხეში, მარცხნით, მწყობრათ წამწკრივებული იდგენ მიხეილის საარტილერიო სასწავლებლის იუნკრები.

მათ გვერდში უდგა ღენერალი. ქუდი გულზე ქონდა დასვენებული და უცდიდა განკარგულების მიღებას სახ. დუმის წევრებისაგან.

კერენსკიმ სიტყვა დაასრულა. გაისმა „ურა“-ს გრიალი.

მისი ადგილი მილიუკოვმა დაიკავა. ხალხი ისევ მიწყნარდა.

ის მადლობას უცხადებს ჯარისკაცებს და მოუწოდებს მშვიდობიანობისაკენ:

— მხოლოდ შეკავშირებით შეგვიძლია ჩვენ სრული გამარჯვება მივიღოთ. ამიტომ პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა შეკავშირდეთ. ჯერ კიდევ არ შეგვისრულებია ყველაფერი. უეჭველია გამარჯვება ჯარის დახმარებით მოვიპოვეთ, მაგრამ ჯარი უაფიცრებოთ წარმოუდგენელია. შეგიძლიათ თუ არა, თქვენ ჯარისკაცებო, სიტყვა დასდოთ, რომ აფიცრებს გაუგონებთ?

— გაძლევთ სიტყვას!.. მოისმის ერთხმათ ამოძახილი.

— შეგწევთ თუ არა ძალა, რომ ღირსეულ დარაჯათ უდგეთ დაწყებულ საქმეს და არაფერი ისეთი ჩაიდინოთ რაც შელახავს თქვენს ღირსებას?

— შეგვწევს და კიდევაც შევასრულებთ!

ისევ გაისმის ჯარისკაცთა გრიალი

ამ ფიცის შემდეგ მილიუკოვი ტრიბუნიდან ჩამოდის. მის ადგილს იჭერს გრენადერთა პოლკის უფროსი.

მან გაიმეორა და დაადასტურა ის, რაც მილიუკოვმა სთქვა და ბოლოს გრენადიორებს მიართა:

— წყვილ-წყვილათ დაწყვეთ გასავალში!

გამოდის სახ. დუმის წევრი გერასიმოვი და ბოხი ხმით გადასცემს შეკრებილთ როძიანკოს სალამს, რომელიც საქმეებშია გართული დროებით მთავრობის კომიტეტში.

იწყეს დაშლა. იუნკრები დამწკრივდენ. ისმის განკარგულების გაცემის ძახილი, ფეხების ბრახუნი.

ამ დროს ელვის სისწრაფით ვრცელდება ხმა: პიტირიმი დაატუსაღესო.

პიტირიმი მოიყვანეს! ფერწასული და შეშინებულია!

„ურაა!“ გაიძახიან აქეთ იქიდან.

პიტირიმის სანახავად არავინ არ დაძრულა ადგილიდან.

მე სასახლის დათვალიერებას შევუდექი. ბუფეტში ისხდენ ჯარის კაცები, თუთუნის კვამლში გახვეულნი, და ჩაის სვამდენ... დერეფანში, სადაც დეპუტატები და მინისტრები დასეირნობდენ წინათ, ახლა პურითა და ხორცით დატვირთული ჯარისკაცები დაფუსფუსობდენ და დამშეულთ საჭმელს ურიგებდენ.

ბუფეტის მახლობლათ ოთახში სტუდენტები და კურსისტკები რაღაცას ფუსფუსობდენ, მგონი ტყვიის მრქვეველის ლენტებს ტენიდენ.

ყოველგან გასავალში, სავარძლებზე, სავარძლებს ქვეშ, კედლებთან და სკამებთან უძილობით მოქანცული ჯარის კაცები იყვენ მიწოლილნი.

ქუჩაზე და დუმის შესავალთან ხალხი თან და თან მატულობდა, თავრიდის სასახლიდან დაწყებული სუვოროვის პროსფექტამდე, მთელი თავრიდის ქუჩა ხალხით იყო გაჭედილი. სუვოროვის პროსპექტიდან ტყვიის მტყორცნელების ტკაცა-ტკუცი მოისმოდა. აქ პოლიციელები კიდევ მაგრათ ისხდენ თავიანთ საფარში.

შეგროვილი ხალხი უსაზღვრო სიამოვნებას და მხიარულებას განიცდიდა. ყველას ღიმილი აჩნდა პირისახეზე.

ხალხმა ქვმყანას დაანახვა, თუ რა შეუძლია მას.

— ამხანაგებო! — გაკივის ქუჩის ერთ კუთხეში მაღლობზე შემდგარი სტუდენტი. — კურლოვი დაატუსაღეს. მერე იცით როგორ? მთელი მისი სასახლე გადაჩხრიკეს, მაგრამ ვერსად მიაგნეს. მიადგენ ბოლოს სამრეცხავო ოთახს. აქ იხილეს შემდეგი სურათი: კურლოვს გენერლის პაგონები აუხსნია, დიაცის კაბა ჩაუცვამს, თავშალი მოუხვევია და სარეცხს ჰუჰუნის — ... — აქ სტუდენტი სიცილს ვეღარ იკავებს. იცინიან ირგვლივაც; გაისმის მხიარული ყიჟინა და ხარხარი.

სამ საათზე დუმის შენობას მახლობელი სახლის სახურავიდან ტყვიის მფრქვეველი დაუმიზნეს და ტყვიები სეტყვასავით დააყარეს. დასჭრეს რამდენიმე ადამიანი.

ადმინალტეისტვოს შენობიდანაც გაისმის თოფების გრიალი. აქ ჩამჯდარია ჯარის ერთი მცირე ნაწილი, რომელიც ჯერ არ გადმოსულა ხალხის მხარეზე.

უკანასკნელი შეტაკებებია. ბრძოლა გადამჭრელი იწყება.

საღამოს ჟამს ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო შეიქნა.

მე არასოდეს არ მინახავს და, მგონი, ვეღარც ვიხილო ასეთი სურათი.

ქალაქი გრიალებდა, ბობოქრობდა ვით გააფთრებული მხეცი. კედლებს ზანზარი გაქონდა.

ავტომობილების ბრიგინი, დალეწილი მინების წკრიალი, თოფების გრიალი, ტყვიის მფრქვეველების შეუწყვეტელი ტა-ტა-ტა-ტა, ცეცხლისაგან წითლათ შეღებული ცა, აღტაცება, შიში, მხიარულება და მწუხარება.

— ყვლეფელი ერთი მეორეში ირეოდა და ერთ უცნაურ ხმათ ისმოდა.

სიბნელით ისარგებლეს პოლიციელებმა და სახლების სახურავებიდან გაახშირეს სროლა.

ქუჩაზე გავლა აუცილებელ სიკვდილს გიქადდა, მაგრამ გამარჯვების სიხარულმა ყოველი შიში დასთრუგნა. მთელი ქალაქი ქუჩებზე გამოეფინა.

ერთი მეორეზე უცნაური ამბები ელვის სისწრაფით ვრცელდება ხალხში.

— ციმბირელთა ეშელონი, რომელიც ხალხის „დასამშვიდებლათ“, გამოიწვიეს, ხალხს შეუერთდა!

— პროტოპოპოვი დააპატიმრეს!

— ადმირალტეისტოვ დაეცა.

ახალ-ახალი ცნობები ყოველ წუთში მოსდევდა ერთი მეორეს.

ჯარისკაცები ალყას უკეთებდენ სახლებს, სადაც პოლიციელები იმალებოდენ. ჩხრეკდენ და აპატიმრებდენ მათ. მოზღვავებული ხალხი ბობოქრობდა. მთელი საუკუნოების განმავლობაში დაგუბული შხამი, გესლი, წყევლა, კრულვა და შეურაცხყოფა ერბაშათ ინთხეოდა გარეთ...

სროლა მატულობდა, მატულობდა ხალხის გუგუნი და მებრძოლთა ყიჟინა. შეიარაღებული მუშები გააფთრებული ლომებივით აწყდებოდენ ხან ერთს, ხან მეორე სახლს, საიდანაც პოლიციელები და ჯანდრები ისროდენ.

ქალაქის თავზე რევოლიუციონური წითელი დროშა ფრიალებდა. პეტროგრადის ორ მილიონ მცხოვრებთ მონობის ჯაჭვებიდან აწყვეტილი საოცნებო და საყვარელი თავისუფლება მხურვალეთ ესალამებოდა, გამარჯვებას ულოცავდა.

ქალაქმა ჩვეულებრივი სახე მიიღო. აშკარაიყო:

— აღსრულდა! ხალხმა სამკვდრო მახვილი ჩასცა დახავსებულ წესწყობილებას და თავისუფლების დროშა ააფრიალა.

გაუმარჯოს ძლევა მოსილ ხალხს!

გაუმარჯოს თავისუფლებას!

(„Кіевск. Мысль“.)

ყოველ-კვირეული იუმორისტიული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის

ჟურნალის ფასი: 12 თვით 7 მ. —
6 თვით 4 მ. — კ.
3 თვით 2 მ. — კ.
1 თვით — 70 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესებიდა სხვა.

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებს ეშმაკი,
ხოლო გამოცემის საქმეს კანტორა „განათლება“

რედაქცია სთხოვს როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასალები და ფული ამ ადრესზე: გამოიგზავნონ Тифлисъ, С. Р. Таварткиладзе, Ольгинская, 6 поч. ящ. № 96.

„ერთობა“

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

საზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში მთელი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მ. სამი თვით 4 მან 20 კაპ., ერთი თვით 1 მან. 40 კაპ

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაისადონ, ნისიათ არაფის გაეგზავნება.
ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтовый ящикъ № 199, Власію Малакіевичу Бохохадзе.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლღის ქუჩა № 6.

დაკრძალვა ბიუროკრატ მთავრობაძისა



ვის არ მოეხსენება სიდიადე იმ სიყვარულისა, რომლითაც ხალხი ეპყრობოდა ჩვენს ნეტარხსენებულ ბიუროკრატ მთავრობაძეს! ეს ყველასათვის თვალსაჩინო და აშკარა იყო.

ამიტომაც ხალხი განსაკუთრებულის სიყვარულით და გულმოდგინებით შეუდგა მისი გვამის დაკრძალვას. ღრმა სამარე, ჩახერგილი ბიუროკრატ მთავრობაძის სხვა და სხვა სამკაულებითა, (სახრჩობელას ბოძები, ბორკილები და სხ.) მოსაგონებელია სიფრთხილისა, განსვენებულისადმი. ხალხს ეშინია, არავინ მოიპაროს ძვირფასი გვამი, ან თითონ არ ადგეს და გაიპაროს სადმე.

მოქალაქენო! მიაყარეთ მიწა და უთხარი: „საქმემან შენმან გაცხოვნოს შენა"-თქო.

რედაქტორი თ. ბოლქვაძე. სტამბა ვ. **რუხაძისა**, გაბაევის შესახვ. № 1.